

გაზეთი „თბილისი“, 2 იანვარი, 1990წ.

შეიქმნა ქართულენოვანი კომპიუტერი

რადიოსადგურის „ამერიკის ხმის“ ქართული განყოფილების კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კალიფორნიაში მცხოვრებ ქართველ ებრაელს დანიელ ლე³იაშვილს, რომელმაც კომპიუტერებისათვის ქართულ ენაზე მოამზადა საგანგებო პროგრამები. ლე³იაშვილის თქმით, იგი დაიბადა სენაკში, 13 წლისა კი მშობლებთან ერთად საცხოვრებლად ისრაელში გაემგზავრა; იქვე დაამთავრა სკოლა, უნივერსიტეტი. 1983 წელს შეერთებულ შტატებში ჩავიდა, იქაურ უნივერსიტეტში იცავს დისერტაციას ეკონომიკის დარგში. მასთან ერთად, ამერიკაში იმყოფებიან მეუღლე და წლინახევრის ვაჟი.

ლე³იაშვილი ამბობს, რომ ამერიკული ფირმა „მაკინტოში“ უშვებს მის მიერ კომპიუტერებისათვის მომზადებულ სპეციალურ პროგრამას ქართულ ენაზე. „მაკინტოში“ მცირე კომპიუტერია, აღნიშნავს იგი, — რომლის საშუალებით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. როცა ამერიკაში ჩასვლის შემდეგ მშობლებს ვწერდი წერილებს, მათ ნაწერის გარჩევა უჭირდათ. გადავწყვიტე, წერილი კომპიუტერზე დამებეჭდა ქართულად, რისთვისაც საჭირო გახდა ქართული შრიფტის შექმნა. რამდენიმე ღამე გავათენე და ბოლოს მიზანს მივაღწიე, კომპიუტერზე დავბეჭდე წერილი. ჩემს მშობლებს ისე გაეხარდათ, მეზობლებსაც აჩვენეს წერილი. უკვირ-

დათ, ნეტავ სად იშოვა საბეჭდი მანქანაო. იცოდნენ, რომ ქართულ-შრიფტიანი მანქანა მე არა მქონდა. ამის შემდეგ ლე³იაშვილს მეტი მონღომებით გაუგრძელებია მუშაობა და ბოლოს ქართულენოვანი კომპიუტერიც შეუქმნია.

დანიელი ამბობს, რომ ახლახან დაკავშირებია ფირმა „მაკინტოშს“ და შეუტყვია: ფირმა ჭერჯერობით კომპიუტერებს არ ყიდის საქართველოში იმიტომ, რომ ლე³იაშვილმა ეს-ესაა დაამთავრა „მაკინტოშის“ სისტემის ქართულად გადათარგმნა. ეს ნიშნავს, რომ დიალოგი კომპიუტერთან ინგლისურის ნაცვლად ქართულ ენაზე იწარმოებს. ანუ „მაკინტოშის“ ეკრანზე ყველაფერი ქართულად გამოჩნდება.